**ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები**

**2023 წლის 27 ნოემბერს დამტკიცდა ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ**

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ევროკავშირისა და მისი ფასეულობების საწინააღმდეგო დეზინფორმაციასთან, გარე საინფორმაციო მანიპულაციებსა და ჩარევასთან ბრძოლა** | საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის კამპანიის სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოში ევროკავშირისა და მისი ღირებულებების ხელშეწყობის მიზნით. | 11 დეკემბერს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა მთავრობის 2024-2027 წწ. საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს სწორედ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ განსაზღვრა უწყების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ევროკავშირში საქართველოს გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგიაში ცვლილებებს ახალი რეალობებისა და ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, მათ შორის სამინისტროს საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის გენერალური დირექტორატის რეფორმირებასა და ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო | საქართველოს მთავრობა |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | | | ცენტრის გაძლიერებას როგორც ფინანსური ისე ადამიანური რესურსებით, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ევროკავშირის ასევე ევროპული ფასეულობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტივობების განხორციელებას, და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, მათ შორის საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის შესაბამის სამსახურებთან სტრატკომის მიმართულებით. | |
| | | სამოქმედო გეგმის განხორციელება | 2024 წლის განმავლობაში | |
| 2 | **ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს დაახლოების გაუმჯობესება** | ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ფარგლებში ევროკავშირის პოზიციებთან მიერთების მაჩვენებლის გაუმჯობესება | მიმდინარე - 2023 წლის ივნისიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევა განხორციელდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის პოზიციებთან მიერთების კუთხით - წლის ბოლოს ჩვენი მაჩვენებელი 50%-ს შეადგენს. ევროკომისიის ანგარიშში. | საქართველოს მთავრობა |
| | | არსებული პრაქტიკის საფუძველზე, აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან, რათა საქართველოს ტერიტორია არ | 2023-2024 წლის განმავლობაში | |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | | იქნას გამოყენებული ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციებისგან თავის არიდების მიზნით, მათ შორის გაგრძელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგულარული ანგარიშგება ევროკომისიის (FISMA, DG TAXUD), აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს შესაბამის უწყებეთან არსებული საკომუნიკაციო არხებით, სანქცირებული და სენსიტიურ საბაჟო კოდებზე საბაჟო ოპერაციების სანქციებთან შესაბამისობის თაობაზე | | |
| 3 | **შემდგომი მუშაობა პოლიტიკური პოლარიზაციის დასაძლევად, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან ერთად მეტად ინკლუზიური საკანონმდებლო პროცესის უზრუნველყოფის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე** | ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიის ჩართვა ევროინტეგრაციის და სხვა ძირითად რეფორმებთან დაკავშირებულ სამუშაო ფორმატებში<br><br>საქართველო-ევროკავშირის დღის წესრიგის საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებასთან (საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში) თანამშრომლობის გაგრძელება | 2023-2024 წ.<br>20 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს მათი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციისა და გაღრმავების მიზნით. საქართველოს პარლამენტმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს | პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | | | ეროვნულმა პლატფორმამ გამართა 3 ერთობლივი კონფერენცია ევროკავშირის პრიორიტეტებისა და ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების სექტორულ ასპექტზე. | |
| 4 | **თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 2024 წელს, და ეუთო-ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩევლის ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.** | 2024 წლის არჩევნებზე ეუთო-ოდირი-ს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მოწვევა | თებერვალი 2024 წ. | საქართველოს მთავრობა, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |
| | | ხელისუფლების შესაბამის ორგანოებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისთვის სამუშაო ფორმატების შექმნა | აგვისტო-ოქტომბერი 2024 წ. | საქართველოს მთავრობა |
| | | საარჩევნო კოდექსში პარტიების/არჩევნების დაფინანსების საკითხზე ცვლილებების შეტანა *(პოლიტიკური პარტიებისთვის იურიდიული პირების შემოწირულობების აკრძალვა; მშპ-თან მიმართებით წლიური ხარჯების ზედა ჭერის შემცირება)* | 2023 წლის 15 დეკემბერი<br><br>15 დეკემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს საარჩევნო კოდექსში, ევროკომისიისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. | პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |
| 5 | **საპარლამენტო ზედამხედველობის აღსრულების შემდგომი** | რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა ყველა | 2023-2024 წწ. ევროკომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, | პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | **გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუციების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების კომისიის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.** | საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ზედამხედველობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად | პარლამენტმა 2023 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში მიიღო დამატებითი ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რაც ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან ჰარმონიზაციას ემსახურება. ეს ცვლილებები არეგულირებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს და ასახავს მათ უფლებამოსილების შეწყვეტის კრიტერიუმებსა და პროცედურებს. | |
| | | საპარლამენტო ნდობის ჯგუფის შემადგენლობის შევსება | 2024 წლის თებერვალი | |
| **6** | **ჰოლისტიკური და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად განხორციელებისა და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით.** | სამუშაო ფორმატის შექმნა ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სასამართლო და პროკურატურის რეფორმის საკითხებზე | 2024 წლის იანვარი | პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი |
| | | შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განახლება | 31 იანვარი 2024 წ. | |
| | | შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება | 7 მარტი 2024 წ. | |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| **7** | **ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პირად მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემდგომი უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან მიმართებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება ინკლუზიური პროცესის გზით; კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეების გამოძიების ძლიერი გამოცდილების შექმნ**ა. | საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, რომლებიც 15 დეკემბერს გამოქვეყნდება | 31 იანვარი 2024 წ.<br>გაგრძელდება დიალოგი<br>18 დეკემბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნები. | პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი |
| | | ყველა საპარლამენტო პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან შეხვედრების გამართვა ამ ორგანოების წლიური ანგარიშების განსახილველად | მაისი 2024 წ. | |
| **8** | **დეოლიგარქიზაციის არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება მრავალსექტორული, სისტემური მიდგომის განსახორციელებლად, ვენეციის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის წარმოებით, რომელშიც ჩართულები იქნებიან ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება.** | დეოლიგარქიზაციის გეგმის დამტკიცება საპარლამენტო პოლიტიკური პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ<br><br>*(ცნობა: 2023 წლის 22 ნოემბერს, თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, პარლამენტმა სამოქმედო გეგმა წარადგინა და განიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს* | 27 ნოემბერი 2023 წ.<br>**მიღებულია**. 27 ნოემბერს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა ევროკომისიის შენიშვნების შესაბამისად გაუმჯობესებული დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა და დაიწყო მისი იმპლემენტაცია. | საქართველოს მთავრობა, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | | *ეროვნულ პლატფორმასთან მესამე ერთობლივ კონფერენციაზე.)* | | |
| | | საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების გამართვა დეოლიგარქიზაციის გეგმის განხორციელების ეფექტიანი მონიტორინგის მიზნით. | 2024 წ. | |
| 9 | **ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ამბიციური სტრატეგიის განხორციელების და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების დაწყება ინციდენტებზე, რომლებიც ეხება დაუცველი ჯგუფების, მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების უსაფრთხოებას, და ძალადობაში დამნაშავე პირებისა და ორგანიზატორების გასამართლება. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების წარმოება და თანამშრომლობა, რაც მათ საშუალებას მისცემს არსებითად** | სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების გაერთიანებული შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნება ადამიანის უფლებების დაცვის 2024-2026 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი. | 6-7 დეკემბერი, 2023<br>**გაიმართა** | მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი |
| | | ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ. | 2023 წლის 25 დეკემბერი<br><br>**25 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სამოქმედო გეგმა.** გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის საფუძველზე გეგმაში გათვალისწინებული იქნა პარლამენტის, მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები. | |
| | | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შეხვედრების | 2024 წ. | |

| # | ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯები | განსახორციელებელი აქტივობები | განხორციელების ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|---|
| | **ჩაერთონ საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, და მათი თავისუფალი მუშაობის უზრუნველყოფა.** | გამართვა მიმდინარე გამოძიებებზე; ევროკომისიისთვის ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება გამოძიებებთან დაკავშირებით | | |
| | | არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგულარული შეხვედრების გამართვა საკანონმდებლო და პოლიტიკის ფორმულირების პროცესებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით | 2023-2024 წწ.<br>საქართველოს პარლამენტმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ გამართა 3 ერთობლივი კონფერენცია ევროკავშირის პრიორიტეტებისა და ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების სექტორულ ასპექტზე.<br><br>აგრეთვე, პარლამენტია ღიაა საკანონმდებლო პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისთვის. გაგრძელდება მათთან თანამშრომლობა როგორც ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, ისე საპარლამენტო კომიტეტებში მათი მონაწილეობის ფარგლებში. | |